# ივერია

ბაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის მეჯლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.


## ახალი ამბავი

*** ხვალ, 30 სექტემბერს, შუა-დღის უკან დიდუბეში დანიშნულია დოღი, ანუ მარულა.

*** „ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში" ოქტომბრიდამ აპირობენ დრამატიულის ხელოვნებისა და დეკლამაციის თეორიის კლასის დაარსებას. მასწავლებლად „კრუჟოკის" დირექციას მიუწვევია ბ-ნი ვ. პახომოვი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ხარკოვის უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში შეიძლება მოიპოვოს კაცმა ყოველ გვარი ცნობანი იმ ქართველების შესახებ, რომელნიც რამდენისამე სოფლად არიან დასახლებულნი მალოროსიაში. სასურველია, რომ ხარკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა ითავოს, შეჰკრიბოს ეს ცნობანი და ქართველს საზოგადოებას განუზიაროს.

*** 22 სექტემბერს, ხაშურსა და გომს შუა ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დასცემნიან რკინის-გზის მებუდკეს, დაუჭრიათ ხანჯლით მებუდკეცა და მისი ცოლიც, წაუღიათ, რაც რამ ხელში მოხვედრიათ და გაქცეულან.

*** სამშაბათს, 25 სექტემბერს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იყო: „ძუნწი" და „საძაგელი". ორივე პიესამ კარგად ჩაიარა. ხალხი ამ ხელადაც ცოტა დაესწრო, ასე რომ არა გვგონია შემოსავალს ხარჯი დაეფარა. თუმცა გამოცხადებული იყო, მაგრამ არც ცაგარელი იღებდა მონაწილეობას, არც ჩერქეზიშვილისა და არც მელიქიშვილისა. ამ ორივე ქალის მაგიერ ქ-ნი ტატიშვილისა თამაშობდა და ვერაფრად გასწია სხვისი მოადგილეობა. დებიუტანტი იოსების ძე ჯერ სრულიად გამოუცდელი სჩანს და ძნელად თუ კარგა ხანს ითქვას რამე იმის ავ-კარგიანობისა, ვიდრე კარგად არ შეეჩვევა სცენას და თავის ამპლუას არ მიაგნებს.

*** ახალციხე: 18 სექტემბერს აკურთხეს აქ სამეურნეო სკოლა და სწავლებაც დაიწყო. კურთხევას დაესწრო ტფილისის გუბერნატორი, თავადი შარვაშიძე. დანარჩენი საზოგადოებაც ბლომად იყო.

*** ბორჯომი: მმართველობა აქაური მამულებისა გულმოდგინეთ შეუდგა იმ ზარალის გამორკვევას და ცნობაში მოყვანას, რომელიც ამ ზაფხულს გაჩენილმა ცეცხლმა მისცა. ცეცხლი 19 მარიამობისთვიდამ დამლევამდე მძვინვარებდა; ამ თთვის შეიდამდე ტყეს კვამლი მაინც ასდიოდა, შეიდ ამ თთვეს მოსულმა წვიმამ ძლივს ბოლო მოუღო ცეცხლს, რომლის გაქრობაზე 18 დღის განმავლობაში ათას ორასი თუმანი დაიხარჯა. ხოლო ის ზარალი, რომელიც ტყეს მოუვიდა, ჯერ აღუნუსხველია დაბეჯითებით. მარტო იციან, რომ 8 ათასს დღიურზე მეტი გადიწვა ტყე. ზოგან წინა-წლების ნარუჯი იყო, ზოგან ცეცხლმა მიწაზე ფერფლის მეტი არა დასტოვარა. ადგილ-ადგილ ტოტებ შემორუჯული ხეები დარჩა, რომელიც მასალად ივარგებს, თუ ამ ორ-სამ წელს გამოიზიდა. თუ დაუგვიანდა გამოტანა, ყოველი მავნე მწერი შიგ დაიბუდებს და გადარჩენილ ტყეს ცეცხლზე უარესს საქმეს დაჰმართებს. გარუჯული ხეები 324,373 წვრილის ზომისაა; 89,896—შუათანასი და 53,395 დიდისა,—სულ 467,664 ხე. წვრილი ხეები შეშად უნდა გამოიყენონ, ან ნახშირად უნდა დასწვან ან და ფასი უნდა გაკეთდეს. ხოლო სხვილი და შუათანა ხეები ტივად უნდა იქმნას გამოზიდული. თითო სხვილის ხის ქერქის შემოცლა, დამზადება და მტკვართან სატივოზე ჩამოტანა დაჯდება 7 მანეთი, ხოლო შუა ზომის ხისა—4 მანეთი. ერთად რომ ვიანგარიშოთ, ამ ორივე ზომის ხეების დამზადება დაჯდება 733,349 მანეთი. ახლა ამას რო დავსძინოთ ის ხარჯიც, რომელიც შეშად გადადებულ ხეებისათვის არის დანიშნული, თითქმის ერთ მილიონს შეადგენს. ახლა იანგარიშეთ ის ფულიც, რომელიც უნდა დაიხარჯოს დეკოვილის*) სისტემის აგებულ რკინის გზების გაყვანაზე ტყიდგან მასალის გამოსაზიდად! ამ ერთის თთვის წინად ბათუმიდგან 8 ქართველი—მაჰმადიანიც მოიწვიეს, რომელთაც ნავებით მტკვარზე აქ დამზადებული ხის მასალა გომამდე უნდა ჩაიტანონ, სადაც ბორჯომის მამულს ხის მასალის საწყობი აქვს.

*** გაზ. „Нов. Обоз."-ს გაუგონია, რომ მალე, სულ ამ მოკლე ხანში, მთავრობა აპირებს გადასინჯოს საქალაქო დებულებანი.

*** 25 ამ თთვისას, დილის ათს საათზე, კაპიტანის მიხეილ. ანტ. კარჩინსკის სადგურიდგან ნიკოლოზის ქუჩაზე, იმისმავე მუშამ პეტრე მოგინიმ მოიპარა 18 მანეთის ვერცხლის ნივთეულობა. ქურდი შეიპყრეს და ნაპარევიც უპოვნეს.

*** 23 სექტემბერს ავჭალის ქუჩაზე ვაგონისაგან გასრესილი უცნობი კაცი აღმოჩნდა ბაქოდგან ჩამოსული სამსახურს გარეშე მყოფი უნტერ-ოფიცერი ვილჰელმ იუზეფის ძე ბრეიტშოფტი. ბრეიტშოფტი გზათა მინისტრთან ჩამოსულა იმის სათხოვნელად, რომ რკინის გზის მმართველობისაგან პენსია დაენიშნოს.

*) დეკოვილის სისტემის რკინის გზაზე ვაგონები ლოკომოტივის დაუხმარებლივ მიგორავენ ლიანდაგზე.

## დრამატიული საზოგადოების ყოფა

როდესაც-კი ქართულ თეატრზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უეჭველია ქართულ დრამატიულ საზოგადოებასაც ვახსენებთ და ვსჯით ხოლმე მისს მოქმედებასაც. ამ გარემოებით ის ახსნება, რომ ქართულის სცენის მზრუნველად მოხსენებული საზოგადოება გვეგულება. ამიტომ ტფილისის ქართულ თეატრზე ლაპარაკის დროს, ყველა კითხულობს: რას აპირებს დრამატიული საზოგადოება, რას აკეთებს დრამატიული საზოგადოება, რატომ ასე მიჰყავს თეატრის საქმე, რატო ამასა და ამას ხელს არა ჰკიდებს, რატო ამ გზაზე არ დადის? და ჩამოსთვლის ათას გვარ წვრილმანობასა.

ნება მომეცით დრამატიულ საზოგადოების წევრის ადგილი დავიჭირო და ამის მთქმელს მივუბრუნდე მაგვარისავე კითხვით:

თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემო მყვედრებელო, მკილავო და გამკიცხველო, რომელსა აღვილესია ენა, ვითარცა მახვილი! რა გაგიკეთებია ჩემთვის, რა შემწეობა მოგიცია ზნეობითი ანუ ნივთიერი, რა გზა გიჩვენებია გზის დაბნევის დროს, რა გულშემატკივრობა მოგიშველებია ჩემის საქმისათვის, რა ზრუნვა გაგიწევია, წელი როდის გაგიმაგრებია ჩემთვის, ერთის სიტყვით რა მოგიცია, რასა მთხოვ? აბა მიპასუხე, თუ-კი ჩემ საქმეში არ გაერევი, ეგ ხომ იმასა გავს, თუნდ მკვდარი და თუნდ შინ არ მისულიო.

## ფელეტონი

### ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი

V*)

ათაბაგს გვერდით უდგა მაწყვერელი, აწყვერის მამათ-მთავარი. როგორც ქართლში მეფესა და კათალიკოზს ეპყრათ უმაღლესი ძალა და ერის გამგეობა—„ერთი ხორცის ხემწიფე იყო და მეორე სულისა" (ვახ. მუხ. კე), ისრე ჯაყელსა და მაწყურელს ჰქონდათ განაწილებული „სახორციელო" და „სასულიერო" მმართველობა. საერო „პატრონობისაგან" სასულიერო მწყსობა საათაბაგოში მხოლოდ იმითი განსხვავდებოდა, რომ მაწყურლობა სამკვიდრო საკუთრებას არ შეადგენდა და ყველა ღირსეულს სულიერს მწყემსს შეეძლო მიეღო იგი საპატრიო ხელის-უფლება[72]). სხვაფრივ ათაბაგი და მაწყურელი თანასწორნი იყვნენ და თითოეული დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარს უწყებას. პოლიტიკურმა გარემოებამ მაწყურელზედაც გავლენა იქონია და ძირეულად შესცვალა საათაბაგოს მამათ მთავრის და კათალიკოზის დამოკიდებულება. თუ ათაბაგი განშორდა მეფეს, მაწყურელიც კათალიკოზს განუდგა და მცხეთის კათედრას საათაბაგოს სამწყსო აღარა ეკითხოდა-რა. ამასთანავე ღირს-შესანიშნავია, რომ საათაბაგოში მაწყურელმა ისეთივე დიდება და უფლება მიიხვეჭა, როგორიც კათალიკოზსა ჰქონდა მცხეთის საკათედრო სამწყსოში. ქამთა ვითარებამ თითქო თანასწორად შესცვალა ათაბაგისა და მაწყურლის მდგომარეობა[73]).

აღბუღა ჰმოწმობს, რომ „ძველადგან" აწყურს საკუთარი წესდება ჰქონდა და იგი დაამტკიცეთო. იმ წესდებას ჩვენამდე არ მოუღწევია და მარტო აღბუღას სამართალს უნდა მივმართოთ მაწყურლობის განსამარტებლად.

როცა საქართველოში ქრისტიანობა დამკვიდრდა და საყოველთაო სარწმუნოებად შეიქმნა, საეკკლესიო გამგეობაც დააწესეს. იმ დროს, ე. ი. მეოთხესა და მეხუთე საუკუნეს, ევროპაში და კერძოდ ბიზანტიაშიც ეკკლესია დამთავრებულს იურიდიულს დაწესებულებას წარმოადგენდა და რაკი ასეთის დაწესებულებისათვის საჭირო იყო, ყოველისფერი გაიჩინა სასულიერო წოდებამ. საეკკლესიო უწყება იერარქიულად განაწყეს და პირველადვე იერარქიის უმაღლეს წარმომადგენლებმა—ეპისკოპოზებმა დიდი ღირსება და უფლება შეიძინეს: სასულიერო მწყსობას გარდა, იმათ მთლად საქალაქო მმართველობაც ხელთ დაიჭირეს[74]). რადგანაც საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და იქიდგან შემოჰქონდა საეკკლესიო წესები, სასულიერო წოდებაც ჩვენში ისე განაწყეს, როგორც ბიზანტიას ჰქონდა განწყობილი,—საქართველოშიც დაარსდა საეკკლესიო იერარქია და ეპისკოპოზმა დიდი გავლენა მოიპოვა. ძველადვე ეკკლესია ჰქადაგებდა, ეპისკოპოზი ერის კაცს აღემატება და უპირატესობა აქვსო[75]). ამ მოძღვრებამ ევროპაში სულიერი მამა ხორციელ ბატონად გარდააქცია და ამის გამო ძლიერი ქიშპობა და მტრობა ასტეხა საერო და საეკკლესიო წოდებას შორის. მთელი საშუალო საუკუნოების განმავლობაში არ დამცხრალა იგი ქიშპობა და მტრობა[76]). მართალია, ბოლოს „ხორცის ხელმწიფემ" გაიმარჯვა, მაგრამ პირველს ხანებში-კი ეკკლესია იყო ძლევამოსილი და სასულიერო წოდება თავის ნებაზედ განაგებდა მთელს ცხოვრებას. ეპისკოპოზებისა და მეტადრე რომის პაპის უფლებას თითქო საზღვარი აღარა ჰქონდა.

საქართველოშიც პირველადვე სასულიერო წოდებამ დიდ ძალა და გავლენა მოიპოვა და თუმცა ეკკლესიის წარმომადგენელი მეფეს არ ეცილებოდა უპირატესობასა და იმის მორჩილი იყო, მაგრამ მაინც ბევრი „სახორციელო საქმეც" დაისაკუთრა. დროთა მსვლელობაში საქართველოს კათალიკოზი და კერძოდ ეპისკოპოზი ისეთივე ბატონი, „სენიორი" შეიქმნა, როგორსაც დასავლეთი ევროპა გვაჩვენებს. საქართველოს საეპისკოპოზოც განსაკუთრებულს ფეოდალურს დაწესებულებას შეადგენდა, სადაც სულიერს მწყემსს, საეკკლესიო გამგეობას გარდა, სახორციელო მმართველობაც ისე ჰქონდა მოწყობილი, როგორც ერისთავსა და დიდებულს. ამ მოვლენას საათაბაგოშიაც ვპოვებთ. მაწყურელი მარტო სამცხის მამათ-მთავარი და „სულის ხელმწიფე" არ არის, „ხორცის საქმეც" აბარია და ზოგს შემთხვევაში თავის საერო უფლებით ათაბაგსაც კი აღემატება[77]). ზემოდ მოეიხსენიეთ, რომ ეპისკოპოზმა „თუ მეფესა შესცოდოს, მეფისაგან ხელად შეპყრობა არ ერგების, შეხვეწნა მართებსო" (მუხ. რბ) მაშ თუ ასეა, ათაბაგს რაღა უფლება ჰქონდა „ეპისკოპოზზედ?—არაფერი, რადგანაც ეპისკოპოზი მეფე არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და რაცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარენო"... ათაბაგს ხომ „მეფე" არ ეთქმოდა, „მეფედ" მოხსენებულია მხოლოდ ეპისკოპოზი და ეს სახელ-წოდება ცხადად ამტკი-

*) იხ. „ივერია" № 205.

[72]) ძველს აღთქმაში მხოლოდ ლევიტელთა გვარს ებარა ღვთის მსახურება. მოციქულებმა და კერძოდ ტრულის კრებამ დაადგინეს, ეკკლესიის მსახურება ყველას შეეძლიანო, „сословіе клириковъ не есть наслѣдственное", Курсъ общаго церковнаго права, М. Богословскаго, 1885 г. стр. 40. V—XII საუკ. ევროპაში ყველას შეეძლო საეკკლესიო მოხელეობა მიეღო და ღირსეულნიც მიდიოდნენ სასულიერო კაცებადაო, Гизо, стр. 83—86. ჩვენში მაღალი ადგილი და ღირსება თითქმის ყოველთვის დიდგვარიანებს ებოძებოდათ ხოლმე.

[73]) ამის დამამტკიცებელი გურჯები დ. ბაქრაძეს მოჰყავს ვახუშტის ისტორიაში, გვერ. 286—287. ვგონებთ, დ. ბაქრაძე სცდება, როცა ერთს გუჯარზედ აფუძნებს თავის აზრს, ვითომ „ანტიოქიის საპატრიარქო კათედრა განაგებდა სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს, როგორც საკუთარსა და მცხეთის საკათალიკოსო კათედრის უფლება აღარა სჩანსო." არა, ანტიოქიის კათედრამ მხოლოდ დროებით და ისიც მოკლე ხანს მიითვისა სამცხე-საათაბაგოს სამწყსო. შემდეგში იგი სამწყსო ისევ მცხეთის გამგეობაში იყო, Цер. гудж. стр. 107, 109. მეჩვიდმეტე საუკ. დომენტი იხსენიება კათალიკოსად ქართლისა, კახეთისა, სამცხისა, ibid, стр. 112—113. მაღალქია კათალიკოსის დადგენილებაში 1673 წ. მოხსენებულია, მაწყურელიც უნდა დაესწროს მირონისა და მეფის კურთხევაზე მცხეთაშიო, стр. 110—111. თითონ ავტორი თავისსავე თხზულებაში ამბობს, XV საუკ. სოფელი სხალტა (აჭარაში) მცხეთის პატრიარქს ეკუთვნოდაო, Арх. пут. стр. 58.

[74]) Гизо, стр. 30—34, 117.

[75]) ძველადვე ეპისკოპოზი მამად არის წოდებული და ერის კაცთა შორის ისეთივე უპირატესობა აქვს, როგორც სახლის უფროსს ოჯახშიო, М. Богословскій, стр. 16.

[76]) Гизо, стр. 91 и др.

[77]) მაწყურელის სამწყსოზედ ნახე Арх. пут. стр. 83. თუმცა საეკკლესიო სამართალი, რადგანაც ღვთიურის შთამოგონებისაა, სახელმწიფოებს ზნეობითს ძალას უნდა ხმარობდეს, М. Богославскаго „Курсъ..." стр. 3—6, მაგრამ მაწყურელი ამას არ სჯერდებოდა.

აბა მიპასუხეთ, ეითარცა წევრს საზოგადოებისას.

— თქმა და ქმნა ერთიაო. თქმაც საქმეაო, მეტყვით.

ნეტავი თქმა მაინც თქმასა ჰგავდეს. განა ყველა თქმას თქმა ჰქვიან, მაგალითად თუნდ ენის ქაფილის გამობაგეთაგან გამოცემული ხმა, რომელსაც აზრის ნიშანიც არ აცხია. დიაღ, მართალია—თქმა ქმნაა, მაგრამ ჩვენში-კი არა, სადაც მოქმედებას, გარჯას, მუშაობას, საქმიანობას ჯერ ეარჯიში არა აქვს. თქმას იქა აქვს ქმნის და საქმიანობის მნიშვნელობა, საცა მქმნელი მთქმელია და მთქმელი მქნელია. აი შეხედეთ ევროპის დიდებულ ტრიბუნებს, განა იქ მოლაპარაკენი მარტო მთქმელნი არიან? შეხედეთ პუბლიცისტებს, მქადაგებლებს, მწერლებს, მეცნიერთა, განა ისინი მარტო მთქმელნი არიან და არა მქნელნიცა და მოსაქმენიცა. დიდებული მთქმელი, როგორც მაგალითად მოხუცი გლადსტონი ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დაიარება თავის აზრების მოსაფენადა, ათას ხალხსა ხედავს და საჯაროდ, თუ შინაურულად მოლაპარაკება აქვს, რომელი საქმე როგორ წარიმართოს, ლაპარაკით ლაპარაკობს, წერით სწერს, ზრუნვით ზრუნავს შინ და გარედ მუშაობს, ყველაფერს წვრილმანებშიაც-კი, რაზედაც გული შესტკივა. თქვენ-კი მეუბნებით, თქმა და ქმნა ერთიაო. ერთია, მაგრამ ჩვენეურადკი არა, იქაურად, ორისავე შეერთებით და არა განცალკევებით. რაღაცა შეუტყვიათ, მთქმელი ანუ მწერალი პრაქტიკულს საქმეებში არ ერევაო, თითქოს მართლა ყოველთვის და ყოველგან ასეაო. თითქოს იმაზე უმრავლესისაგან უმრავლესს მაგალითს არა ვხედავდეთ, რომ თქმასთან მომქმედნი და მოსაქმენიც ყოფილან, არამც თუ პუბლიცისტები,—მეცნიერნიც-კი, როგორც, მაგალითად დღეს ვხედავთ ფოხტსა, ანუ პოეტს ბაირონს, რომელსაც ხედავდნენ ოსმალოს წინააღმდეგ მომუშავესა, ან კიდევ უფრო უახლოვეს რუსეთში, სადაც პროფესორებს და მწერლებს სხვადა სხვა საზოგადოებასა და წრეებში მონაწილეობას იღებენ.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ მთქმელ მოლაპარაკეთა და დავაკვირდეთ მართლა დრამატიულ საზოგადოების ყოფასა.

ათი წელიწადია (წესდება დამტკიცდა ივნისში 1880 წელს) რაც საზოგადოება დაფუძნდა, თითქმის იმავე დროს, როდესაც სამუდამო დრამატიულმა დასმა დაიწყო მოქმედება და ქართულ სცენას სამუდამო საფუძველი დაედვა. ამ ათის წლის განმავლობაში საკმაოდ შესამჩნევი თავგადასავალი უნახავს ამ საზოგადოებას. პირველად გამოიჩინა სიფხიზლე და საქმიანობა, მერე მიიძინა და კინაღამ სრულიად გაუქმებას აპირებდა. მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოების წევრნი ბევრნი წავიდ-წამოვიდნენ და არ იზრუნეს-კი, რომ პირველშივე საზოგადოება ფეხზე მაგრად დაეყენებინათ. ამ შემთხვევაში ბრალი თვით ტფილისის ქართველობას და მის ინტელიგენციას ედება, ამიტომ რომ არ აღმოუჩინეს ჯეროვანი თანაგრძნობა და თანამშრომლობა. დანარჩენმა წევრებმა ბოლოს, ამ ოთხის წლის წინად გამოიღვიძეს და ახალი მმართველობა ამოირჩიეს, რომელსაც წინად ამორჩეულ მმართველობაზე უმეტესი სიცოცხლე დაეტყო, იკისრა ანტრეპრიზა, შეაგროვა ფული ამისათვის და უძლევებოდა სამის წლის განმავლობაში, ამასთან ცნობაში მოიყვანა და რიგზე დააყენა საზოგადოების ქონება, ბიბლიოთეკა და გარდეროპი.

ახლა დავაკვირდეთ თვით საზოგადოების ყოფასა და არა მისს მმართველობას. აბა ვიკითხოთ, დრამატიულ საზოგადოებას აღმოუჩნდა თანამგრძნობელები, თუ არა ქალაქის ქართველობაში? აი კიდეც ეს არის, რომ არაფერი არ გამოჩნდა-რა იმას გარდა, რომ გამართულ ბალებში დაესწრებოდა თითო ოროლა კაცი და ისე კი არსად მისი ჭაჭანება არ იყო. აბა თუნდა მაგალითად ავიღოთ წევრების რიცხვი. თითქოს ვისმე შეუღლოცნიაო, წლის წლობამდე თანდათან ისე კლებულობს.

ნუ თუ ეს საგანი ტფილისის ქართველობისა და მის ინტელიგენციის საყურადღებო არ უნდა იყოს და ამისთვის არ უნდა იზრუნოს? ყოველ საზოგადოების ყოფნა და არ ყოფნა ყველაზე უპირველესად მისს რიცხვზე დამოკიდებული. რიცხვ-მცირეობა ავადმყოფობაა ყოველის საზოგადოებისა და ბოლოს მისი სიკვდილის მიზეზია. ნუ თუ მართლა ტფილისის ქართველი ინტელიგენცია ისე ძალმოკლებულია, რომ ვერ აღუძრავს ტფილისის ქართველობაში თანაგრძნობას დრამატიულის საზოგადოებისადმი, ვერ მიუზიდნია თავისის სიტყვითა და მოქმედებით, მეცადინეობითა და შრომით ახალი წევრები?

რაკი ერთი დაწესებულებაში მმართველობას ამოარჩევენ ჩვენში, ჩვეულებად გახდარა, სხვამ აღარა იზრუნოს-რა და ყოველი საქმის ასრულება მარტო მმართველობას მიახვიონ. მმართველობა რასაკვირველია ამსრულებელია მინდობილის საქმისა, მაგრამ განზე გადგომა, გულ-ხელ დაკრეფილი შორიდამ სეირის ცქერა და სამდურავის ტყორცნა საქმე არ არის და არც სახახელო მოქმედებაა. შენ საქმე აკეთე და მე კი სეირს ვუყურებო. ეს წუნია ნაცარქექიების თვისებაა და არა საქმისთვის გულმოდგინე მზრუნველისა.

ათმა წელიწადმა გაიარა და ჯერ კიდევ დრამატიული საზოგადოების ყოფა მკვიდრი არ არის, აი ეს არის საზრუნველი და საფიქრებელი. მას უნდა მხარი მივცეთ, წელი გავუმაგროთ და ფეხზე დავაყენოთ. სანამ ამ დაწესებულებას მკვიდრად არ დავაყენებთ, ყოველი ჩვენი შენიშვნა მის მმართველობის მოქმედებაზე წარამარა წვრილმანი ლაპარაკი იქნება. თორემ მმართველობას შეუძლია ყოველ შენიშვნაზე გიპასუხოთ: რაც შენგან მიმიღია, ის მომირთმევიაო.

აბა მაშინ თქვენ რას ბრძანებთ ამისას?

ვ.

◆◆

## წერილები რედაქციის მიმართ

როგოროც ამას წინადაც მქონდა გამოცხადებული, 1887 წლის გასულს მე მომიგროვდა განსვენებულის ი. დავითაშვილის სასარგებლოდ სულ 45 მან., რომელმაც დღემდის მოიტანა 6 მანეთი სარგებელი და გახდა სულ 51 მან., გიგზავნით ამ 51 მანეთს და გთხოვთ შემდეგს: თუ რედაქცია იკისრებს და ხელის მოწერას გამართავს განსვენებულ ი. დავითაშვილის სახელობაზე, რათა დაედგას მას შესაფერი ძეგლი, მაშინ ეს ფული იმ ფონდს საფუძვლად დაედოს; ხოლო თუ ამ საგნისათვის „ივერიის“ რედაქცია ვერ იკისრებს ხელის მოწერის გამართვას და იმედი არა აქვს ამ საქმის რიგიანად დაგვირგვინებისა მაშინ შემკრებელისა და ფულის გამომღებთა უმრავლესობის სურვილისამებრ, გთხოვთ ეს 51 მან., მიუმატოთ დიდად პატივცემულის დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულს ფონდს. გთხოვთ შედეგი ამ თხოვნისა საქვეყნოდ გამოაცხადოთ.

გ. ბურჭულაძე.

23 ენკენისთვე 1890 წ.
ქ. ზაქათალა.

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა მიზეზია, რომ დიდ-ძალი უმაწვილ-კაცობა რუსეთში გულხელ დაკრეფილი ზის, თითონაც იტანჯება და სხვასაცა სტანჯავს, საქმე ვერ უშოვნია? განა შესაძლებელია ამოდენა ქვეყანაში, რომელშიაც განათლებულთა რიცხვი სულ მცირედია, საქმე არსად იშოვებოდეს. რა მიზეზია, რომ გლეხ-კაცი, ან ხელოსანი, მცირეოდენს ძებნას შემდეგ, ადვილად მიაგნებს ხოლმე საქმეს, ხოლო უმაწვილს კაცს, ანუ ქალს, საშუალო სწავლა-განათლებით აღჭურვილს-კი ვერსად უშოვნია და ხშირად მთელი წელიწადები ელის საქმეს რასმეო, კითხულობს გაზ. „Русскія Вѣдомости“ თავის უკანასკნელს მეთაურში.

თითქმის ყოველ მხრივ საყვედური ესმით ამ საბრალო უსაქმურებსაო, ამბობს გაზეთი: ვითომ-და მსუქან ლუკმას ელით ამ ცხოვრების სუფრაზედ და ამიტომა ხართ იძულებულნი ცუდად ჯდომასაო. მაგრამ ეს საყვედური უმეტეს შემთხვევაში ცილისწამებაა, ჩვენი უმაწვილ-კაცობა ასკეტიურს იდეალებზედ აღზრდილი და ბედს ადვილად მოურიგდება, თუ ცოტად თუ ბევრად რიგიანი საქმე მოიგდო ხელში. ჩვენის საერო სასწავლებლის მასწავლებელი, კანცელარიის გადამწერელი, მაზრის სტატისტიკო კომიტეტისა და სხ. უმეტესად ხელოსანს ნაკლებს სასყიდელს იღებს. არა, მიზეზი ეს არ არის.

მაშ რა უნდა იყოსო? იკითხავთ. გაზეთის აზრით,

მიზეზი თვით ჩვენის განათლების მიმართულებაში უნდა ვეძებნოთ. ჩვენი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები უმაწვილებს ეკონომიურად ცუდად ამზადებენ. მასწავლებელი, ექიმი, მოხელე, ვექილი თავისსავე ხელით ვერას შექმნის და გააკეთებს იმისთანას, რომ კუჭი გამოიკვებოს. ესენი მიწის-მომუშავესა და ხელოსანისაგან იმითი განსხვავდებიან, რომ არამც თუ შრომის გაწევა უნდა შეეძლოთ, ისეთი ადამიანებიც უნდა იპოვნონ,

---

დღეს მის უპირატესობას. საათაბაგოს ორთოდოქსურს მოძღვრებას მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა უკლდა იმ საზღვრამდე, სადამდინაც მიაღწია დასავლეთ ევროპაში რომის პაპის განუსაზღვრელმა უფლებამ. ერთის სიტყვით, მაწყურელობაც ისეთივე ძალითა და დიდებით აღიჭურვა, როგორც კათალიკოსობა, თუმცა-კი საეკკლესიო იერარქიაში სამცხის მამათმთავარს მეექვსე ადგილი ეჭირა [78]). რა საერო უფლება ჰქონდა მაწყურელს?—ზოგჯერ ისეთივე, როგორც ათაბაგსა. მაგალითებრ, თუ დიდებულნი ათაბაგს ემორჩილებოდნენ და იმათ ერთურთს შორის მტრობა უნდა მოესპოთ, როცა ეს ათაბაგს „ეპრიანების“, ეგრეთვე „რა მიეიდეს ხატი და იგი კაცნი მაწყურელისა, ასუკან ველარ ემტერების“ დიდებული დიდებულსა და „თუ ემტერა“ მაწყურელისა პატიჟი გარდაიხადოსო“. (მუხ. გ—„პატიჟი“ „უპატიურად და შეპირევებით პყრობაა“, იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი, სიტყვა „პატიჟი“.) არა სჩანს, რამდენად ძვირად უჯდებოდა ურჩს დიდებულს მაწყურლის „პატიჟი“, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით უბრალო სასულიერო კაცის შეურაცხებასაც კი სასტიკად სჯიდა სამართალი. დიდებულების სისხლის საქმე ათაბაგსა და მაწყურელს თანასწორად ეკითხოდათ და როცა ბრალდებული სისხლს ვერ დაიურვებდა, „გარდეხვეწოს და მამული აქნდეს პატრონსა ჯაყელსა და მაწყურელსა და ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აჰამოსო“ (მუხ. ბ).[79]) ვერც „ღალატს“ გადარჩებოდა კაცი მაწყურლის დაუსჯელად და როცა იგი „ღალატი“ მამათ-მთავრის ყურამდე მიაღწევდა, ბრალდებულს ორის დიდებულის სისხლი უნდა დაეურვა (მუხ. ლდ.) მაწყურლის მრისხანება ძმისა და ახლო ნათესავის მკვლელსაც სდევნიდა, ამ ბოროტებას სამართალი საშინელ ბრალად ჰრაცხს: „ორკეცს სისხლს“ გარდა, მკვლელი სამუდამოდ უნდა გარდაიხვეწოს და იმისი ხსენება აღმოიფხვრას, ხოლო სხვა ეპისკოპოზმა იცის, „რაც მართებს, მან უყოსო“ (მუხ. კგ.).

შურის-ძიების საქმე, ღალატი და სხვა ამ გვარი დანაშაულობა ეპისკოპოზს სრულიადაც არ უნდა ეკითხებოდეს. სწორედ ასე განაწესა წმიდა მამათა და კათოლიკე ეკკლესიის მოძღვრებამ[80]). თვით საეკკლესიო მსჯავრს განსაკუთრებული თვისება უნდა აქნდეს და ფიზიკურს ღონესა და საშუალებას არ უნდა ჰხმარობდე' სასჯელად „უსისხლო კრავის“ შემწირველი[81]). თუმცა მართლ-მადიდებლობა ამას ჰღაღადებს, მაგრამ მაწყურელმა იგი ღაღადება არ შეისმინა, თავის «საკანონოს» არ დასჯერდა, თავისი ჩვეულებრივი „კრულ, შეჩვენებულ და წყეულ იყავნ“ არ იკმარა და ხორციელს მსჯავრსაც აგებდა დამნაშავეს. აშკარაა, რომ სულიერმა მამამ ხორცის ბატონობაც დაიჩემა და საქაო დიდება არ უარ ჰყო, თუმცა ეპისკოპოზი მარტო „სულს ეხელმწიფების“...

აღბუღას სამართალშიც სასულიერო წოდება იერარქიულად არის მოწყობილი. ამ წოდების უპირატესობა იმით მტკიცდება, რომ, ერის კაცთან შედარებით, თითოეულს ეკკლესიის მსახურს დიდი სისხლი სდის[82]). რასაკვირველია, ყველაზედ მეტი სისხლი ეპისკოპოზისაა: თუ დიდებულმა აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი მისცეს და დიდი ბოდიში მოიხადოსო, თუ აზნაურმა, ამის ნახევარი დაუურვოსო (მუხ. რზ, რჱ). სწორედ ამოდნად ფასობდა დიდებულისა და აზნაურის მოკვლა და მაშასადამე ეპისკოპოზის სიტყვით უბრალო შეურაცხება წარჩინებულის კაცის სიკვდილს უდრიდა. ეპისკოპოზს თან მოსდევენ მოძღვარი, მღვდელი, მონოზანი. არც ერთი ამათგანი «ხელთა არავისგან შეიპყრობის», თუნდაც მეფესა და ეპისკოპოზს შესცოდონ,—მიზეზს უნდა გამოხახვა და გარდახდევაო“ (მუხ. რდ). თუ ვინიცობაა შეიპყრობდნენ, სრული სისხლი უნდა დაეურვათ „გვარსა ზედა“ და კიდევ „ხუთი ათასი სხვა ემატოს“ (მუხ. რე.) მღვდელნი ერთმანეთისაგან მხოლოდ ხარისხით განირჩევიან. ასე დაადგინა ლაოდიკიისა და ანტიოქიის კრებამ[83]). მაგრამ ფეოდალურს საათაბაგოში სასულიერო წოდებასაც სისხლი „გვარსა ზედა“ სდიოდა და იმიტომ სამართალი საზოგადო ფორმულას ჰხმარობს. საგვარეო სისხლსა «ხუთი ათასი სხვა ემატებოდა», რადგანაც მღვდელ-მონოზანი უპირატესია და მაღლა სდგას თავის გვარის სწორს ერის კაცზედ. გვარი გვარისაგან განირჩევა და ძველს დროს მღვდელმონოზნად დიდის გვარისანი—„გვარიანნიც“ მიდიოდნენ. თუ „გვარიანს“ მღვდელ-მონოზანს რაიმე „საპატიო ხელი“ ებარა, „ხელის მქონებელი“ იყო, „მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოსო“. აქედამ ცხადად სჩანს, კაცს რა დიდს პატივსა და დიდებას ჰმატებდა მღვდელ-მონოზნობა: „გვარიანსა“ და „ხელის მქონებელს“ ნახევარ სისხლს, ხოლო უბრალო გვარისას ხუთი ათას თეთრს. რა-კი მღვდელი მაღლა იდგა ერის კაცზედ[84]), მისი შეურაცხება დიდს დანაშაულობას შეადგენდა: თუ დიდებულმა ან აზნაურმა აგინოს, სისხლის მესამედი დაუურვოს და „დიდად შეეხვეწოსო“ (მუხ. რთ.) ზოგჯერ მღვდელ-მონოზანსა და ასე გასინჯეთ დიაკონსაც-კი ორ-კეცი სისხლი ეურევბოდათ. მაგალითებრ: „მონოზანთა, ხუცესთა და დიაკონთა ნაცარცვი ორკეცია“. სისხლი მაშინაც ორკეცობს, თუ იგინი „მალვით, ღალატით მოკლან და შეიპყრან“. რასაკვირველია, ამ მსჯავრს არ აჯერებდნენ ბრალდებულს და ზედ უმატებდნენ—„კრულ და წყეულ და შეჩვენებულ სული და ხორცი მისიო“ (მუხ. რკგ, რჯზ.) საყურადღებოა, რომ თუმცა დიაკონი, ეკკლესიის სწავლისამებრ, მცირე მოხელეა[85]), მაგრამ იმასაც სამარ-

[78]) მალაქია კათალიკოზის სიგელი, Цер. Гудж. стр. 110—111. პ. იოსელიანის აზრით ეს სიგელი ევდემონის კათალიკოზს მოხვედრს, რომელიც სცხოვრებდა VIII საუკ. წმ. მეფის არჩილის დროს. ამ სიგელში მაწყურელი მოხსენებული არ არის, მის მაგიერ ნაჩვენებია „მიტროპოლიტი დიდის სამცხისა“, რომელსაც მესამე ადგილი უჭირავს, Описаніе древностей г. Тифлиса, стр. 59—63, прим. 54.

[79]) ბრალდებულის მამულის წაღება, захватъ имущества, იგივე შურის-ძიებაა და უძველეს ჩვეულებას შეადგენს, М. Ковалевскій, Современный обычай и древній законъ, 11 стр. 54—62.

[80]) ეპისკოპოზს უფლება აქვს განაჩინოს მხოლოდ სასულიერო წოდების საკუთარი საქმეები. საერო კაცზედ ხელი მაშინ მიუწვდება, როცა საქმე შეეხება ქორწინებას, გრძნეულობასა და მკითხაობას, М. Богословскій. стр. 13—15.

[81]) ibid. стр. 6.

[82]) მონგოლების სასულიერო წოდებაც იერარქიულად მოწყობილია და შედარებით დიდი სისხლი სდის, Леонтовичъ, стр. 78, ოირატის წესდების მუხ. 21.

[83]) М. Богословскій, стр. 23.

[84]) ib. стр. 22. „Пресвитеръ между свѣтскими чинами имѣетъ первенство чести“...

[85]) ibid. стр. 23.

რომ იმათ თავის შეძლების მცირე ნაწილი გაუნაწილონ. ამ ჟამად ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ზოგიერთის ამ შრომის კაცის შრომა სჭირდება და თუ საქმე ცოტაა, ხოლო მოსაქმე ბევრი, ცხოვრება ყველას საერთოდ უძნელდებათ, რადგანაც ერთმანეთს ეცილებიან. ერთს ადგილს ათი მუშტარი უჩნდება და ასეთის ცილობით ერთმანეთსაც უხდენენ საქმეს.

ეს ცილობა აშკარაა არსებობს, თუმცა საკვირველია, რომ ეს ამბავი რუსეთისთანა უსწავლელს, გაუნათლებელს ქვეყანაში ხდება, სადაც რიგიანი მკურნალი ქალაქს ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც ძნელად საპოვნელია. ვინ არ იცის, რა უბედურებაშია ჩვენი დაბა-სოფლები იმ მიზეზით, რომ ყოველ გვარი სასარგებლო სპეციალური ცოდნის მქონე კაცები არა ჰყავს. უბედურება სხვათა შორის ისიც არის, რომ თვით მკვიდრთ არა აქვთ შეგნებული ასეთის კაცების სარგებლობა, ჩვენს დაბა-სოფელს ჯერ კიდევ სძინავს. როცა შეიგნებს, რაღა თქმა უნდა, ამ მხრით საქმეს საშველი მიეცემა.

ამას გარდა ისიც აბრკოლებს საქმეს, რომ ინტელიგენტები უფრო დიდრონს ქალაქებს ეტანებიან, ალბად იმ იმედით, რომ აქ უფრო დუღს და გადმოდის ცხოვრება და საქმესაც ადვილად იპოვნის ადამიანიო, მაგრამ ის-კი ავიწყდებათ, რომ სწორედ დიდრონ ქალაქებში ძნელად იპოვება და მოიძებნება ინტელიგენტ კაცისათვის საქმე. საკვირველია, რატომ ეს უსაქმონი პროვინციაშიაც არა სცდიან ბედს და იქნება იქ უფრო ადვილად შეაკრდომოს თავი, ვიდრე თითონა ჰგონია. მართალია, თუ ადამიანს მცნობი არა ჰყავს და არც შეძლება გააჩნია, ძნელია თავის ალება და უგზო-უკვალოდ სიარული, მით უმეტეს ისეთს უშველებელს ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. აი ამიტომაც საჭიროა, რომ დაარსდებოდეს ისეთი დაწესებულება, რომ მუშტარს და ვაჭარს შორის შუამავლობა გასწიოს თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითებრ, ვიურტემბერგს, ბელგიასა, საფრანგეთსა და სხ. გამართულია საშუამავლო დაწესებულებანი, რატომ ჩვენში-კი არ უნდა იყოს ასეთი რამ დაარსებული? ასეთი ბიურო სწორედ დიდს შემწეობას აღმოუჩენდა ჩვენს უსაქმოდ მყოფს ინტელიგენტებს.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ თვით ცხოვრებაში ფეხ-გამოდგმულმა ინტელიგენტებმაც უნდა შეიტკიცონ თავი და ცხოვრების ბრძოლის გასამკლავებლად მოემზადნენ. რაც უნდა კარგა და ხელოვნად იყოს საშუამავლო ბიურო, ინტელიგენტი მაინც სხვის ხელის შემაყურებელი და სხვაზედ დამოკიდებული იქნება. ამ დამოკიდებულების თავიდგან ასაცილებლად საჭიროა, რომ

უმაღლესს სპეციალურს ცოდნას უმდაბლესი რამ ხელობაც მხარში უდგეს. უმაწვილმა კაცმა, რომელიც სამკურნალო მეცნიერებასა სწავლობს, ამავე დროს რომ რომელიმე ნაწილი მეურნეობისა, ან ერთ-ერთი ხელობაც შეისწავლოს, ცხოვრებასთან ბრძოლა ისე აღარ გაუჭირდებოდა, რადგან თუ მოსარჩენს ვერავის იპოვიდა, სხვაფრივ იშრომებდა. ამ მხრივ ძალიან გონიერად იქცევიან შეერთებულს შტატებში, სადაც იშვიათად იპოვნით იმისთანა კაცს, რომ ორი-სამი ხელობა არ იცოდეს და ხან ერთით არ იკვებავდეს თავს, ხან მეორეთი. ჩვენს საზოგადოებაშიაც არა ერთხელ გამოთქმულა ეს კეთილი სურვილი, რომ კარგი იქნება, ინტელიგენტებმა უბრალო რამ ხელობაც შეისწავლონო, მით უფრო კარგი, რომ ფიზიკურადა და სულიერადაც ერთ გვარად განვითარდებოდნენ და არ დამახინჯდებოდნენო. მაგრამ მას შემდეგ გაკეთდა განა რამე ამ კეთილის სურვილის განსახორციელებლად? ან სად შეიძლებენ თავიანთის დამოუკიდებლობის ძვირად დამფასებელნი ახალგაზდანი, რომელისამე ხელობისა და მეურნეობის ნაწილის შესწავლას, ძალიან გულითაც რომ უნდოდეთ? სახელოსნოებში ამისთანა უმაწვილ-კაცებს არ მიიღებენ, რომ განზედ არ გაუდგნენ კიდეც ჩვენ მოუწყობელს და ცუდად წარმართულს სახელოსნოებში, და აი ამიტომაც ამ სურვილის საქმედ ქცევას ფრთები ეჭრება.

საზოგადოების ასეთს მდგომარეობაში ყოფნის გამო დიდად სასიამოვნო იქნებოდა, რომ რამდენიმე პრაქტიკული კურსი დაარსდეს მკურნალობისა და ხელობის. ამ კურსებზედ მსურველებმა მცირედენის ფასით, თუ სულ უფასოდ არ შეიძლება, ხელობა რამ შეისწავლონ, ისე-კი, რომ თავისს ეხლანდელ საქმის თავ-დანებებას არ იყვნენ იძულებულნი. ასეთის დაწესებულების გეგმა შარშან უკვე წარუდგინა პროფესორმა სტებუტმა სატეხნიკო ცოდნათა გამავრცელებელს საზოგადოებასაო, ამბობს გაზეთი. აგრეთვე ქალებშიაც თანდათან ჩნდებიან ისეთნი, რომელნიც გულით არიან მოწადინებულნი რომელისამე პრაქტიკულის ცოდნის შეძენას. კარგი იქნებოდა, ისეთი ცოდნა შეეძინათ, რომ სოფლად გამოსაყენებელი იყოს. ჩვენს წერილში დასახელებული საგანი იმდენად შესანიშნავი და საჭიროაო, დასძენს დასასრულ გაზეთი, რომ არამც თუ საზოგადოებამ, მთავრობამაც ამ საქმის განხორციელებას ყურადღება უნდა მიაქციოს და თავისი შველა და შემწეობა არ დაუშუროსო.

# რუსეთი

გაზეთ „Волынь“-ის სიტყვით, ქოტიმორში ორი კაცი შეუპყრია პოლიციასა და დაუპატიმრებია. ერთი მათგანი ყოფილა ავსტრიის ქვეშევრდომი კრასნიცკი, თამბაქოს მაღაზია ჰქონია, მეორე-კი გვარად ტუჩინსკი მწერლად ემსახურებოდა თურმე მეთერთმეტე კორპუსის შტაბში. კრასნიცკის, რომელიც ავსტრიის ჯარის ოფიცერია თურმე, ის ბრალი ედებაო, ამბობს გაზეთი, რომ არა კანონიერის ღონის-ძიებით ცნობებსა ჰკრებდა რუსეთის ჯარის შესახებ, იტყობდა სამხედრო მთავრობის განკარგულებასა, იმის აზრსა და განზრახვას, და ყოველისფერს ავსტრიის მთავრობას ატყობინებდა ჩუმად. ტუჩინსკი იმაშია დამნაშავე, რომ შტაბში ყველაფერს იგებდა და შემდეგ კრასნიცკის უზიდავდა ამბავსა და ამაში გადაწყვეტილს ჯამაგირს იღებდა ავსტრიის აგენტისგანაო. როდესაც სახლი გაუჩხრეკიათ ორივესთვის, ბევრი რამ საყურადღებო მიწერ-მოწერა აღმოუჩენიათ. ამ ორ კაცს გარდა სხვანიც ბევრი ყოფილან ამ საქმეში მონაწილე, მაგრამ ჯერ გამოძიება არ გათავებულა, თუმცა-კი მთავრობამ გულ-მოდგინედ ჩაჰკიდა ამ საქმეს ხელი.

— რუსეთის კანონმდებლობის ძალით კაცის ცემით დასჯა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ან ოლქის სასამართლო გადაუწყვეტავს ამ სასჯელს და ან კიდევ როცა კატორგაში გაგზავნილი უკან გამოიქცევა. ამ შემთხვევაში კანონს ისე კაცის დატანჯვა არა ჰსურს, როგორც ზნეობრივი მისი დამცირება და შერცხვენა. ფინლიანდიაში სულ სხვა არის. იქ ცემით დასჯა ყოველს მოსამართლეს შეუძლიან მიუსაჯოს დამნაშავეს. დასჯაც უფრო უწყალოდ იციან. თვით დამნაშავეს ჯაჭვით მიაბამენ ხოლმე ბოძზე და გამეტებითა სცემენ, ბევრჯელ კანს უხეთქავენ და ძვალს ულრძობენ და გაუტეხენ ხოლმე. რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ჰსურს შეიტანოს კანონ-პროექტი, სადაც ჯერ არს, და როგორმე მოსპობინოს ფინლიანდიაში ამ ნაირი უმოწყალოდ ტანჯვა დამნაშავეებისა.

— ერის ჯანმრთელობის მფარველი საზოგადოება აპირობს, საჯაროდ გამართოს ხოლმე სხდომები და ლექციები იკითხოს გიგიენისა და სასანიტარო საქმის შესახებ. ყურის საგდებლად მოსულს ხალხს ფული გადაჰხდებათ. საჯარო ლექციები და კრებები ადრევაც ჰქონდა ხოლმე ამ საზოგადოებას და კარგადაც მიდიოდა საქმე.

— ერთმა წევრმა სამკურნალო საბჭოსამ პროექტი შეადგინა იმისა, თუ რა ღონის ძიებანი უნდა იხმაროს მთავრობამ, რომ ხალხი გადამდებ სენების გავრცელებას ებრძოლოსო. პროექტის აზრით, წიგნაკების ბეჭდვასა და გავრცელებას ისა სჯობია, რომ ხალხს პირად აუხსნან და ასწავლონ, როგორ და რა რიგად უნდა მოიქცნენ სხვა-და-სხვა სენის მძვინვარების დროს.

— ამ წლის განმავლობაში რუსეთის ზარაფხანამ სულ 25 მილიონის ხუთ-მანეთიანი და თუმნიანი ოქროს ფული მოსჭრა, ორი მილიონი მანეთი ვერცხლის ფული და 200„ ათასის მანათის შავი (სპილენძის) ფული.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო პროექტს ადგენს იმისას, რომ რუსეთის იმპერიის ყოველს სამამასახლისოში იმ გვარი კასსები დაარსდეს, როგორიც ამ ჟამად არსებობს ვისლის მხრის სამამასახლისოებში.

---

თალი მეტად დიდს პატივსა სცემდა. რადა და რისთვის შეიძინა სასულიერო წოდებამ ასეთი პატივი? ჯერ ერთი, რომ თვით საეკკლესიო კანონმა დიდი გავლენა იქონია ალბულას სამართალზედ. საათაბაგოში აღორძინდა ბიზანტიის უკიდურესი ორთოდოქსული მოძღვრება, რომელსაც სულსა და სალმრთო საქმეთა გარდა სხვა არაფერი სწამდა. ასეთმა მიმართულებამ მეტად განადიდა სასულიერო წოდება და მთელი ერის გონება და გრძნობა ამ წოდებას დაუმორჩილა. საათაბაგოც ნება უნებურად ბიზანტიის გზა-კვალს დაადგა. მეორედ კიდევ, დროება ხელს უწყობდა სასულიერო წოდებას. ძლევამოსილი მაჰმადიანობა შემოესია საათაბაგოს და მახვილს ულესავდა ქრისტიანობას. აქა-იქ მაჰმადიანობამ კიდეც მოიკიდა ფეხი საქრისტიანოში. საჭირო იყო ეკკლესიას ძალა და გავლენა არ მოჰკლებოდა. მაგრამ ვერც ამან უშველა ქრისტიანობას. ბექა მესამის დროს, მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, საათაბაგოში თითქმის სრულიად განჰქრა ქრისტიანობა და ადგილი მაჰმადიანობას დაუთმო [86]).

## VI

ალბულას სამართალი კაცის წოდებრივს ღირსებას სისხლით ჰზომავს. სისხლი ჰნიშნავს—ამოდენი და ამოდენი თეთრი დაეურვოს კაცს, თუ ესა და ეს დაუშავესო. სისხლის დენა ზემოდამ ქვემოდ მისდევს და ვისაც დიდი სისხლი სდის, მაღალის ღირსებისაც ის არის. ერთი წოდება სწორედ ამ სისხლის დენით განსხვავდება მეორისაგან. არა თუ თითოეულს წოდებას, ბევრჯელ ერთისა და იმისავე წოდების რომელსამე ნაწილსაც საკუთარი სისხლი სდის. ასეთი სისხლის დენა საზოგადო კუთვნილებაა ყველა ძველის სამართლისა და სჯულ-მდებლობის ისტორია ჰმოწმობს, რომ სისხლი სდის, როგორც ველურს და საგვარეულო წესის მიმყოლს ერსა [87]), ისრე შედარებით განვითარებულს. გარდა ამისა, თითოეულს ერს საკუთარი ზომა აქვს სისხლის დენისა. ალბულაც ამბობს, სისხლი ჰქონს ორმოცი ათასი, ოცი ათასი, თორმეტი ათასი თეთრი და სხვაო. (მუხ. კთ.) ამ სისხლზედ დაამყარა ალბულამ საზოგადოებრივი შენობა, რომელსაც ჩვენ ფეოდალური წყობილება ვუწოდეთ. იგი შენობა მრავალ სართულიანია. მოსახლენი მაღლა და დაბლა სცხოვრობენ, სხვა-და-სხვა წოდებად განიყოფებიან და თითოეულს წოდებას საკუთარი სართული უჭირავს. ყველა სართულს თითქო კარებზედ აწერიაო: გვარი, მამული და საპატიო ხელი. ამ წარწერით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოსახლენი. შეძლება მოსახლე ერთის სართულიდგან მეორეში ავიდეს და დაბლიდამ მაღლა მოექცეს. მხოლოდ ამითი იზიდავს გულს იგი ძველი შენობა. ჩვენ ვნახეთ, რომ მეფე, ათაბაგი და მაწყურელი თითონ შენობაში არ სცხოვრობენ და შენობის თავს სდგანან. მაშ ვინ არიან მოსახლენი?

პირველი ადგილი დიდებულებს უჭირავთ. დიდებული „დიდი და მდიდარი“ კაციაო, ამბობს საბა ორბელიანი (ს. ლექსიკონი) და, რასაკვირველია, ასეთი განმარტება არა კმარა, რადგანაც დიდებულობა მარტო ჩვეულებრივს „სიდიდეს“ და „სიმდიდრეს“ არ სჭიროდებოდა და სხვა რამესაც საჭიროებდა. დიდებული, მართალია, „დიდი“ და „მდიდარი“ იყო, მაგრამ რით?—გვარით, საპატიო ხელით, მამულით. ამ სამის საგნისაგან შესდგებოდა დიდებულობა და როცა რომელიმე მათგანი, მაგ., „დიდი მამული“, კაცს აკლდა, მაშინ არც დიდებული ეთქმოდა. სწორედ ასეთი ხასიათი და თვისება შერჩა ქართულს დიდებულებას შემდეგშიც, სჯულ-მდებელ ვახტანგის დროს. ვახტანგი გვიჩვენებს, ვინ იყვნენ დიდებულნი. იგი მხოლოდ ექვს უდიდეს ფეოდალს ჩამოსთვლის, „გაუყრელს“ და მაშასადამე „დიდ მამულიანს“ და დასძენს, რომ სხვა იმათ სახლის კაცებს დიდებულება არ ეთქმითო (მუხ. ლე.) ექვსნი „გაუყრელნი“ ფეოდალნი შეადგენდნენ უმაღლეს არისტოკრატიას, რომელსაც, დიდს გვარსა და მამულს გარდა, დიდი საპატიო-ხელის უფლებაც ნაბოძები ჰქონდა. დიდებულს სხვა სახელითაც იხსენიებდნენ და ვიდრე სამეფო გაიყოფებოდა, მთავარს უწოდებდნენ. ხოლო სამეფოს განყოფის შემდეგ, მთავარნი მარტო ხუთს ადგილას დარჩნენ (გურიელი, დადიანი, ათაბაგი, შარვაშიძე და სვანეთის ბატონი) [88]), საათაბაგოს დიდებულიც ისაა, რაც ქართლისა. საათაბაგოში ძველადვე ვპოვებთ რამდენიმე დიდებულს, წარჩინებულს გვარს. თითოეულს მათგანს დიდი მამული ეჭირა, საკუთარი სასაფლაო, მონასტერი და კარის ეკკლესია ჰქონდა. გარდა ამისა ჰყავნდა აზნაურები და დიდძალი გლეხობა. [89]) იმათ დიდს გავლენას და ძალას ცხადად ამტკიცებს საათაბაგოს პოლიტიკური ისტორია: არა ერთხელ და ორჯელ განდგომიან ათაბაგს დიდებულნი, რომელნი იმ დროს ერისთავებადაც იწოდებიან, და შფოთი აღუძრავთ სამთავროში, როგორც შფოთავდნენ და ურჩობდნენ მეფესა ქართლის დიდებულნიც. ერთის სიტყვით, საათაბაგოს და ქართლის დიდებულება ერთგვარის თვისებისაა. მხოლოდ ბედი სხვა-და-სხვა ჰქონდათ: ქართლის დიდებულნი გადურჩნენ დროთა ღელვასა და ზვირთებს, საათაბაგოსი კი მიწიდამ აღიგვნენ,—ოსმალეთმა სრულიად გაათახსირა ოდესმე ლაღნი და „ქედ-მაღალნი“ საათაბაგოს დიდებულნი, მამული ჩამოართვა და ღირსება ჩამოაცალა. [90])

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

[86]) მ.-ცხოვ. II. გვ. 168.

[87]) მონგოლების წოდებრივი აგებულება საგვარეულო წყობილებაზედ იყო დამყარებული. თითოეული გვარი (родъ) სხვა-და-სხვა წოდებისაგან შესდგებოდა. თავადი სამის ღირსებისა ჰყავდათ—დიდი, შუა, პატარა, Леонтовичъ, стр. 153—154. ოსებში ეგრედ-წოდებული უოზდანლაგობა, რომელიც ჩვენებურს პირველის ხარისხის თავადობას უდრის, სყიდვითა და სამსახურით არ მოიპოვება, იგი საკუთრებაა თორმეტის გვარისა, М. Ковалевскій, Сов. об. и др. зак. I. стр. 38—39.

[88]) ბროსსე „Introduction“, p. LXXIX—LXXX.

[89]) დ. ბაქრაძის Арх. пут. стр. 79—87, სადაც მოყვანილია შესანიშნავი სიგელი. ზოგნი ამ სიგელში მოხსენებულნი დიდებულნი ქართლში გადმოსახლდნენ, ციციშვილები მაგ., ძველად საათაბაგოში სცხოვრებდნენ. ვახტანგი ციციშვილსაც დიდებულს უწოდებს, „როცა გაუყრელი ყოფილა,“ მუხ. ლე. მხოლოდ გვარის უფროსი, „ერთი თავი“ ითვლებოდა დიდებულად. მას ჰქონდა „საპატიო ხელიც,“ ხელის-უფლება. სულ ძველად ხელის უფლებას მეფე „ღირსებისაებრ მიუბოძებდა.“ შემდეგში ეს ჩვეულება მოისპო და ხელის-უფლება სამკვიდრო საკუთრებად გარდაიქცა, ვახუშტის ისტორია, გვ. 17. ეგრედ-წოდებული „служебно-родовое мѣстничество“ რუსეთში მონგოლების გავლენის შედეგია, Леонтовичъ, стр. 262—266. საყურადღებოა, რომ ჩვენშიც სამკვიდრო ხელისუფლება მონგოლთა ბატონობის დროს აღორძინდა...

[90]) დ. ბაქრაძის Арх. пут. стр. 64.

## წვრილი ამბები

ცოლიანობა და უცოლობა. ეხლა-ხან გამოსულს გერმანულს სამედიცინო გაზეთში დაბეჭდილია წერილი მკურნალ კიუნერისა იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ცოლიანობას კაცის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. საკვირველი დამოკიდებულებაა ახალშობილ მდედრისა და მამრის სქეს შორის. ყველგან ვაჟი მეტი იბადება ვიდრე ქალი, ასე რომ 17 ვაჟზე 16 ქალი მოდის. ეროვნებას, ჯიშს და ხელობას ამაზედ არავითარი გავლენა არა აქვს, მაგრამ შემდეგში, როცა 25 წელს აღწევენ ყმაწვილები, მდედრისა და მამრის სქესის რიცხვის დამოკიდებულება იცვლება. ვაჟი მეტი იხოცება ახალგაზდობაში ვიდრე ქალი, ამიტომ ორივე სქესის რიცხვი თანასწორდება და თითო ვაჟზე თითო ქალი მოდის. ცოლიანობა ძლიერ კარგად ჰმოქმედებს ჯან-მრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ცოლიანს შეუძლიან 60 წელს მიაღწიოს და უცოლოს-კი 45 წლამდინ მეტის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ერთი მეოთხედი ცოლიანებისა 70 წლამდეც სცხოვრებს, უცოლოებისა-კი მხოლოდ ერთი მეოცედი. ხანგრძლივი სიცოცხლე ცოლიანებისა იმის ბრალია, რომ ოჯახი უკეთესად არის მოწყობილი უცოლო კაცის ყოფაზე. ამ საქმეში კიუნერი დიდს მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ ოჯახში ავადმყოფს კარგად უვლიანო. ცოლ-ქმრობა კაცების ჯან-მრთელობას უფრო ჰშველის, ვიდრე ქალებისას. 100 ცოლიან კაცში 21 და 100 ქმრიანს ქალში 17 მეტი გადასცდება ხოლმე 70 წელს, ვიდრე უცოლოსა და უქმროებში. ტყუილი იქნება, რომ უცოლოებისა და უქმროების ადრეული სიკვდილი უსწორმასწორო ცხოვრებას დავაბრალოთ. ესკი არა, რაც უფრო მყუდროდა სცხოვრებს უცოლო, იმდენი უფრო ადრე კვდებაო. პარიჟში შეკრებილ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ბერები იშვიათად მიაღწევენ ხოლმე 80 წელს, ცოლიანი მღვდლები-კი ამაზე მეტსაც სცოცხლობენ, ერის უცოლო კაცები ბერებზე მეტსა და ცოლიანები-კი ყველაზედ მეტსაო. ცოლ-ქმრობის რიცხვზე გავლენა აქვს: ეროვნებასა, ჯიშსა და საცხოვრებელს ადგილს. სამხრეთის ქვეყნებში უფრო ადრე ირთავენ ცოლებს და თხოვდებიან, რადგანაც უფრო ადრე მოდიან ასაკში და ცხოვრებაც უფრო ადვილია. ხელობასაც გავლენა აქვს ცოლ-ქმრობის რიცხვზე: ქალაქებში უფრო ადრე და უფრო ხშირად ირთავენ ცოლებს მუშები, ვიდრე სოფლის მხვნელ-მთესველი ხალხი. ცოლ-ქმრობის ხანგრძლივობაზე გავლენა აქვს ფიზიკურსა და სულიერს სიმრთელეს. ზოგიერთი კაცი, რომელიც ან ავად არის, ან იცის, რომ ავადმყოფობა რამ გამოაჩნდებაო, ვალდებულია უცოლოდ დარჩეს, რადგან ცოლიანობის დროს უფრო ძლიერდება ავადმყოფობა და ოჯახისთვის საშიშოა. 25 წლამდე ქალი უფრო ბევრი ქორწინდება, ვიდრე ვაჟი 25 წელს იქით ვაჟი მეტი, ვიდრე ქალი. სამოქალაქო ქორწინებას ბევრი ბოროტება მოსდევს: თავის მოკვლა და სხვა დანაშაულიც ბევრჯელ სამოქალაქო ქორწინების ბრალია ხოლმე. ქორწინებას უკეთესი შედეგი აქვს შეყვარებაზე. ცოლ-გაშვებულები უფრო ცუდს მდგომარეობაში არიან ქვრივებზე. თავის მოკვლა უფრო მეტი მათ შორის ხდება.

— პრუსიის მეფის გვარეულობას ჩვეულება აქვს, რომ თავის შვილებს ხელობა რამ ასწავლოს ხოლმე. იმპერატორმა ფრიდრიხმა მესამემ დურგლობა ისწავლა. ვილჰელმი მეორე წიგნებსა ჰკაზმავდა. პრუსიის პრინცმა ალბერტმაორ თავის შვილს ქვის თლა ასწავლა და მესამეს დურგლობა. ეხლა სამივე ძმანი აპირობენ, ერთი ფარდული ააშენონ საკუთრად.

— ნორვეგიის გაზეთები ამას წინად სწერდნენ, რომ ლოფოიენში (ჩრდილო ნორვეგიაშია) 1,000 ვეშაპი თევზი დაიჭირესო. ამ ამბავს ჯერ-ჯერობით არავინ იჯერებდა, მაგრამ მართალი-კი გამოდგა. 4 სექტემბერს სვოლვაერს მახლობლად ნავებს მართლა აუარებელი ვეშაპი გამოუტანათ ზღვის ნაპირზე.

— გერმანიაში ძლიერ გავრცელებულია ერთი თამაშობა, რომელსაც „ზატ" ჰქვიან. „სპორტი" იმაში მდგომარეობს, რომ დოღის დროს დანაძლევდებიან ხოლმე, არა ეს ცხენი გაიმარჯვებს არა ესაო, ჩამოდიან ფულსა და ვისი დანიშნული ცხენიც გაიმარჯვებს ჯირითში, ისინი იყოფენ ყველა ჩამოსულს ფულსა. გერმანიის იმპერატორმა სასტიკად აღუკრძალა ავიცრებს ეს თამაშობა და ბრძანება გასცა, რომ ვისაც შეუტყობთ, მაშინვე დავითხოვთ სამსახურიდგანაო.

— ბარონ ლიუცი, ადრინდელი ბავარიის სარწმუნოებათა მინისტრი, ძლიერ ახირებული კაცი ყოფილა. თავის დღეში არავის გაუტყდებოდა და არ შეასტყობინებდა თავის გულის პასუხსა. აი ერთი ამბავი იმის ცხოვრეიდგან. ორსავე ფეხზე ჭრილობები ქონია თურმე და ორი მკურნალი მოუწვევია. ერთს ერთს ფეხს არჩენინებდა, მეორეს მეორესა. არც ერთს იმ მკურნალთაგანს არა სცოდნია, რომ მეორე ფეხიც სტკივაო. ბარონს ყველა ღონის მიება უხმარია, რომ მკურნალები ერთმანეთს არ შეჰყროდნენ.

## დეპეშები

26 სექტემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი, რომ მოისპოს წინდაწინ აღება ფულისა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში.

ᲜᲝᲕᲝ-ᲛᲐᲠᲒᲔᲚᲐᲜᲘ. გუშინ ფინანსთა მინისტრი სამარყანდის მხარეს გაემგზავრა.

ᲑᲘᲐᲠᲘᲪᲘ. გუშინ დიდის მთავრის მიხეილ მიხეილის-ძის თავმჯდომარეობით იყო წლიური კრება აქაურის მართლ-მადიდებლის ეკკლესიის მრევლისა. გადასწყდა, რომ აშენებულ იქნას პატარა ეკკლესია, რომლის საფუძველიც უნდა ჩაიყაროს 1 ოქტომბერს. ხარჯთ-აღრიცხვით 100,000 ფრანკია გადადებული ამ საქმისათვის. აქედამ 50,000 ფრანკი უკვე აქვს მრევლს, ხოლო დანარჩენის შეგროვების იმედი აქ მცხოვრებ რუსებს თავიანთ თანამემამულეებზე აქვთ დამყარებული.

27 სექტემბერი

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ: მინისტრმა კრისპიმ მის პატრიარქალურად გამართულს სადილზე გაჰკიცხა ირიდენტიზმი და ამტკიცებდა რომ ირიდენტიზმის გაძლიერებას შეუძლიან მტრად გადაჰკიდოს იტალიას ყველა სახელმწიფონი და დაჰღუპოს ქვეყანაო. მინისტრმა განმარტა, რა მიზეზების გამო უარ-ყავ წინანდელი სისტემა იტალიის განმარტოებით ყოფნისა და მიეკედლე სამთა კავშირსაო. დასასრულ მინისტრმა ურჩია იტალიელთ, იყავით ერთგულნი მონარქიისა და ტრაქტატებისაო.

პეტერბურგის ბირჟა, 25 სექტემ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ | მან. კ | მან. კ |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 41 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 129 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 13 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228 1/2 | — „ | — „ |
| —მეორისა | 212 1/2 | — „ | — „ |
| —მესამისა | 214 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


### სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დავაჟდებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

ᲗᲮᲖ. Დ—ᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—19)

### ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲔᲡᲢᲘᲡᲐ

კრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—8)

### ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

# ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲘ

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

Ა. Ი. ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ა. სუმბათაშვილის მოღვაწეობის შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მოკლე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

### საკომერციო კურსები

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲥᲔᲑ ᲡᲐᲗᲕᲘᲡ

წლიწადი მეცხრე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1890—91 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(12—11)

### ᲙᲑᲘᲚᲘ ᲐᲚᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲢᲙᲘᲕᲓᲔᲑᲐ

თუ იხმარებენ

ᲚᲘᲠᲡᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲔᲚᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲡ ᲔᲚᲘᲥᲡᲘᲠᲡ

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲜᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—47)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

### ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ და ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ᲮᲣᲗ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას" წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი", ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. цен. Тифлисъ, 27-го Сентября 1890 г. Типо-Литографія Е. I. Месхiева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхiевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე